

მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი

სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი და
შემოქმედებითი საქმიანობის კონცეფცია

განხილულია აკადემიური საბჭოს მიერ ოქმი N5, 08/04/19 წ.
დამტკიცებულია რექტორის 10/04/2019 წ. N ბ/1-01/11 ბრძანებით.

წინამდებარე კონცეფცია შემუშავებულია სასწავლო უნივერსიტეტის დებულებისა და უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე. მასში გათვალისწინებულია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები და პრინციპები, მეცნიერის შემოქმედებითი თავისუფლება და პასუხისმგებლობა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სამართლებრივი ნორმები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საგრანტო დაფინანსებისა თუ არაპირდაპირი სტიმულირების ფაქტორები.

საგანმანათლებლო პროცესის გარდა, სასწავლო უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა გამოყენებითი სახის კვლევის განხორციელება. ამით, სასწავლო უნივერსიტეტს წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის წინსვლაში.

კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება ეხება, ერთი მხრივ, სასწავლო პროცესების ხარისხის ამაღლებისა და, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამებში საგნების განახლების ხელშეწყობას, მეორე მხრივ, კონკრეტული დარგისა თუ ზოგადად სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციისათვის აქტუალური საკითხების წინ წამოწევას. ამ მიზნით, გათვალისწინებულია ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ფორუმების, კონფერენციების, სიმპოზიუმების ორგანიზება, საჯარო/ბიზნეს სექტორების წარმომადგენლებთან, მრგვალი მაგიდის ფორმატში, დისკუსიებისა და საქმიანი შეხვედრების გამართვა.

სასწავლო საქმიანობაში კვლევებით მიღებული შედეგებისა და ინოვაციურ-შემოქმედებითი მიდგომის ინტეგრირება თავისთავად განაპირობებს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების დახვეწას, რაც ეფუძნება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ორმხრივ ჩართულობას კვლევით საქმიანობაში, საბაკალავრო პროექტებისა თუ სამაგისტრო ნაშრომების თემატიკის შერჩევას შრომის ბაზრის სპეციფიკისა და საკითხების აქტუალობის მიხედვით.

სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციურ-შემოქმედებითი საქმიანობა მოიცავს:

- აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფას;
- სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროცესების უნიფიცირებას;
- კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებებზე რესურსების მობილიზებას;
- გამოცდილი და ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარების მოზიდვა-შენარჩუნებას.

საქმიანობის ძირითადი მიზანია ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციების მიხედვით სასწავლო უნივერსიტეტმა მოამზადოს / გადაამზადოს სათანადო კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე ადამიანური რესურსი, რომლის სამეცნიერო და შემოქმედებითი პოტენციალი ეფექტიანად იქნება გამოყენებული ჩვენი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლისთვის.

სასწავლო უნივერსიტეტის მიზნები მიღწევადია შემდეგი ამოცანების რეალიზებით:

- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების პრიორიტეტების განაწილებით უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის გაუმჯობესება;
- გამოცდილი მკვლევარების, კვალიფიციური პერსონალის, სამეცნიერო საქმიანობით დაინტერესებული პირების მონაცემთა ბაზის გამოყენება;
- გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- სამეცნიერო-პედაგოგიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული ზრდა-განვითარებისა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების უზრუნველყოფა;
- უახლესი საინფორმაციო-ტექნოლოგიური და სამეცნიერო მეთოდოლოგიის დანერგვა და ფართომასშტაბიანი გამოყენება;
- სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციურ-შემოქმედებითი საქმიანობის ეფექტიანი დაგეგმვა, დაფინანსებისა და თანადაფინანსების მექანიზმების შემუშავება;
- სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ახალგაზრდა კადრების მაღალი ჩართულობის ხელშეწყობა.

დასახულ ამოცანათა განსახორციელებლად საჭირო რესურსები მოიცავს:

ფინანსური მიმართულებით - სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტში სამეცნიერო-კვლევით საქმიანობისთვის გასათვალისწინებელ ხარჯებს, რაც, თავის მხრივ, აერთიანებს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვის მექანიზმებს და აქტუალური პროექტების განსახორციელებლად დამატებითი სახსრების მოძიების საშუალებებს.

კვლევითი პოტენციალის მიმართულებით - მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების აქტივობების წახალისებას კვლევით, სათანადო კვალიფიკაციისა და სამეცნიერო-პედაგოგიური სტატუსის მქონე სპეციალისტების მოტივაციის ამაღლებას, ახალგაზრდა მკვლევარების დაინტერესებას სამეცნიერო ოლიმპიადებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად, მოკლევადიან პერსპექტივაში სამეცნიერო ჟურნალის გამოცემასა და პუბლიკაციების გამოქვეყნების შესაძლებლობებს, ღია კონკურსის წესით, აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმებს.

საინფორმაციო რესურსის მიმართულებით - ცოდნისა და ინფორმაციის მიღება-გაცვლის საშუალებების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და ხარისხიანი განათლების შესახებ ინფორმირების მეთოდების დახვეწას, სწავლების მულტიმედიური ტექნოლოგიების გამოყენებას, ინტეგრირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროექტებზე თავისუფალ წვდომასა და ერთობლივ მხარდაჭერას.

საქმიანობის ხელშეწყობა მექანიზმები:

სასწავლო უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებით-ინოვაციური საქმიანობის გრძელვადიანი მიზნები ემსახურება საერთაშორისო საგანმანათლებლო და

სამეცნიერო ურთიერთობების დამყარებას. მრავალმხრივი ჩართულობით მიმდინარე პროცესების ეფექტიანობას უზრუნველყოფს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, გამოყენებითი კვლევების გაღრმავება, მსოფლიო მასშტაბით მსხვილი, ერთობლივი პროექტების რეალიზება, სამაგისტრო ნაშრომების და სხვა კვლევითი პროექტების მაღალ დონეზე მომზადება, კვლევითი კომპონენტის გაუმჯობესება, პრიორიტეტული საკვლევო თემატიკის შერჩევა, კვლევის შედეგთა საჯაროობის უზრუნველყოფა.

სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებით-ინოვაციური საქმიანობის დაგეგმვა-დაფინანსებას უზრუნველყოფს სისტემური მიდგომა საგრანტო საკონკურსო შერჩევის პრინციპით. გეგმის შედგენის პროცესში გამოყენებითი კვლევით სამუშაოებს პრიორიტეტები ენიჭება საზოგადოების კეთილდღეობაზე ორიენტირებული თემატიკის შესაბამისად, ასევე ეკონომიკური-სოციალური საჭიროებების მიხედვით.

განხორციელებული საქმიანობისთვის შედეგიანობის მაჩვენებელია:

- ✓ საერთაშორისო საკვალიფიკაციო მოთხოვნათა დონეზე სამეცნიერო-პედაგოგიური პერსონალის კომპეტენტურობის ამაღლება;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების განსავითარებლად პრიორიტეტული მიმართულებების ჩამოყალიბება;
- ✓ საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევებით უმაღლესი განათლების პრიორიტეტული დანიშნულების გამყარება;
- ✓ საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროექტებში ფართომასშტაბიანი მონაწილეობა.

სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებით-ინოვაციური საქმიანობის ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული აკადემიური პერსონალის კვლევითი პოტენციალის სრულყოფილ ათვისებაზე, ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო უფლებების დაცვაზე, აგრეთვე, შესაბამისი პროფილის სახელმწიფო სტრუქტურებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან თანამშრომლობაზე,

საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, კვლევების განხორციელებაში ჩართული მხარეები: აკადემიური პერსონალი, მოწვეული ლექტორები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები უზრუნველყოფენ კვლევის შედეგების გამჭვირვალობასა და სანდოობას.